21/05/2025

MES 1 25 0000553745

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 5 მაისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- რუსუდან ყიფიანი;
- ზურაბ მესხიძე;
- ვალერი ჯაჯანიძე;
- ქეთევან გელაშვილი;
- ნინო მაზმიშვილი;
- ალინა კუპრავა;
- დავით ბიტმალკიშევი;
- ნანა შარაბიძე;
- მიხეილ ხუციშვილი;
- ირმა მეგრელიძე;
- თეა ბარამაშვილი;
- ნანა ნატროშვილი;
- ნანა ქობალია;
- ლევან მადათოვი;
- ირმა ღარიბაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "ახალ ტალღა"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ირმა მეგრელიძე.

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - მამია ჯანჯალია;
დირექტორის მოადგილე - თამარ შალვაშვილი;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო ქიტიაშვილი;
პროგრამის ხელმძღვანელი - ნიკოლოზ ელიზბარაშვილი.

შპს მსოფლიო განათლების აკადემია
დირექტორი - მარია რომანოვა;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო ბერელიძე;

სასწავლო პროცესის მენეჯერი - დემური გაგუა;
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - ნათია კონცელიძე;
პროგრამის ხელმძღვანელი - მარინე იობაშვილი.

შპს „თენექსი“
დირექტორი - ნიცა მდივანი;
ხარისხის მენეჯერი - ნინო ბერელიძე;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “გრაფიკული დიზაინი” ხელმძღვანელი - დიმიტრი ობოლაძე;
შპს “თენექსის” პროგრამების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ნუკრი ტუსიშვილი.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ლანა გაჩეჩილაძე.

სსიპ კოლეჯი "სპექტრი“
დირექტორის მოადგილე - ვარლამ ავალიშვილი;
დირექტორის მოადგილე - თეიმურაზ მაჩაიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ ხატიაშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

ქალბატონი ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის "Front-end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

5. შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში "კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს თენექსში „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის "მულტიმედია რეპორტიორობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ კოლეჯისთვის "სპექტრი“ „შედუღების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, ტექნიკური უზუსტობის გამო მიზანშეწონილია სსიპ - კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ბოლო გადაწყვეტილების სათაურში, შევიდეს ცვლილება, სადაც არ ფიგურირებს, რომ აღნიშნული პროგრამა იყო ინტეგრირებული. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იცვლება მხოლოდ გადაწყვეტილების პრეამბულაში სათაური და არა პროგრამის პარამეტრები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „სსიპ - კოლეჯისთვის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აპრილის N402948 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - კოლეჯისთვის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აპრილის N402948 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - კოლეჯისთვის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ“.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რუსუდან ყიფიანი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, ა.წ. 27 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით კერძოდ, ვიზიტის მიზანი იყო: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ში “Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტთან შესაბამისობის შემოწმება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში" ვიზიტის შესახებ გამოიცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის12 მარტის N269265 ბრძანება. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. 2025 წლის 27 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ/პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგის ექსპერტმა განახორციელეს სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ში პროგრამული სტანდარტების

შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხილული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია და შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მობილიზებით. 2025 წლის 27 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორების მიხედვით განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.2.1.3. ვიზიტის პროცესში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე სასურველია განმახორციელებელ პერსონალს ჩაუტარდეს დამატებითი ინსტრუქტაჟი ვალიდაციის პროცესთან დაკავშირებით.

2.3.1.2. 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მუხლი 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა სასურველია მე-4 და მე-8 პუნქტები მოვიდეს შესაბამისობაში და დაკონკრეტდეს მე-4 პუნქტის ჩანაწერი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია...). პუნქტები ურთიერთწინააღმდეგობაშია.

2.4.1.2. 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) მიმართულების პროგრამის ფარგლებში. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ან მის უფლებამონაცვლეს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა“ სასურველი მოვიდეს ამავე წესის მე-6 მუხლთან „მობილობა (შიდა და გარე მობილობა)“ და დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2.4.1.2. 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს: თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე კოლეჯში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.“ სასურველი აღნიშნულ მუხლშიც დაკონკრეტდეს მობილობის უფლებით სარგებლობა.

2.4.1.2. 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მუხლი 10 არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ლექციიდან გათავისუფლების საკითხებს. სასურველია დაკონკრეტდეს აღიშნული წარმოადგენს თუ არა ამავე წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლის საფუძველს ან/და განისაზღვროს გათავისუფლების შემდგომი რეაგირების მექანიზმი.

2.4.2.1. რეკომენდირებულია უფრო დეტალურად გაიწეროს ვალიდაციის პროცესი. წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-14 მულის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს: „პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.“ სასურველია დაკონკრეტდეს იმ მოდულების შეფასების ვალიდაციის პროცესი, რომელსაც ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი სრულ შესაბამისობაშია სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღის“ მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. სასწავლო პროგრამაში გამოყენებული სასწავლო მასალები და პრაქტიკული სწავლების მეთოდები განპირობებულია თანამედროვე ტექნოლოგიური ტენდენციებით, რაც ამყარებს კავშირებს ერთიან საგანმანათლებლო და პროფესიულ სივრცესთან. დაწესებულებას განაცხადი წარდგენილი აქვს როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, შესაბამისად ორივე შემთხვევისთვის განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაწესებულება იყენებს ერთ A სასწავლო გარემოს, ერთ B სასწავლო გარემოსა და სივრცეს ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით. თითოეული გარემო აღჭურვილია ინვენტარით 15 სტუდენტზე. ორ ცვლაში

სწავლების განხორციელების გათვალისწინებით, ორ ჯგუფზე 15-15 სტუდენტის ოდენობით დაწესებულების რესურსი საკმარისია და სტუდენტთა გაანგარიშება შეესაბამება დაწესებულების მეთოდოლოგიას. კვოტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემენილი აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას: კერძოდ „Front End დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის პსდ ჰყავს 20 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 3 პირი. 1 მასწავლებელი დარგობრივი ინგლისურისათვის. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად“, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნაში, 2.2.1.3 ინდიკატორში, ექსპერტთა ჯგუფს აღწერილი აქვს, რომ ვიზიტის პროცესში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე სასურველია განმახორციელებელ პერსონალს ჩაუტარდეს დამატებითი ინსტრუქტაჟი ვალიდაციის პროცესთან დაკავშირებით. ინდიკატორის აღწერის დროს აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ინდიკატორის აღწერაში არ არის გაწერილი, თუ რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია,

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციის განმავითარებელ რეკომენდაციაში ჩამატების გადაწყვეტილება ადგილზე, პედაგოგებთან და განმახორციელებლებთან გასაუბრების დროს იქნა მიღებული. მართალია, ისინი სრულად ინფორმირებულები არიან

ვალიდაციის პროცესებთან დაკავშირებით, თუმცა, ცალკეულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ მასწავლებლებს მაინც არ ჰქონდათ სრულად ინფორმაცია აღნიშნული ვალიდაციის პროცესებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების განხორციელების ფორმის ცვლილება ან საკუთარი ინიციატივით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატება, ან და ამოღების, ასევე, სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია, რომ აღნიშნული ცვლილების შესახებ აცნობოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. დაწესებულების წესშივე წერია, რომ იმ შემთხვევაში თუ კოლეჯი საკუთარი ინიციატივით განახორციელებს ცვლილებებს, მაგალითად სასწავლო გეგმის დახვეწა, განვითარება, მატერიალური რესურსები, მოდულში სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნება და ა.შ. ასეთი სახის ცვლილებები არ საჭიროებს ცენტრისთვის ინფორმაციის მიწოდებას., მნიშვნელოვანია ექსპერტთა ჯგუფმა განმარტოს, თუ რაში დაინახეს მათ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერი წესში ამ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტის განმარტებით, ძირითადად საუბარი იყო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელსაც დაწესებულება ფაქტობრივად დამოუკიდებლად ახორციელებდა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ მიზანშეწონილია ეს ნაწილები უფრო დაკონკრეტდეს თითოეულ შემთხვევაში. მაგალითად, პირველ შემთხვევაში, როდესაც საუბარია სწავლის შედეგების ცვლილებაზე საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო მეორე ნაწილში მხოლოდ ტექნიკურ უზუსტობაზე.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა: როგორც განმავითარებელ რეკომენდაციაში ვკითხულობთ, მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით კოლეჯი განსაზღვრავს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის კორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, ასევე, სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას, ასევე, აღნიშნულია, რომ სასურველია დაკონკრეტდეს იმ მოდულების შეფასების ვალიდაციის პროცესი, რომელსაც ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, დააზუსტოს რეკომენდაციის შინაარსი და განმარტოს, თუ კონკრეტულად რომელი მოდულების შეფასების ინსტრუმენტზე ვრცელდება პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან შინაარსობრივი ვალიდაცია და რა პრინციპებით, ან მეთოდოლოგიით მიმდინარეობს აღნიშნული ვალიდაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინსტრუმენტების შესაბამისობა მოდულის მიზნებთან, შედეგებთან და შინაარსთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის ხელმძღვანელი ერთი პირია, ვიზიტის პერიოდში ამ ადამიანმა ოპერაცია გაიკეთა და ვერ დახვდა ექსპერტთა ჯგუფს, სამაგიეროდ იყო სხვა მასწავლებელი. დაწესებულება მიიჩნევს, რომ მოდულის განხორციელების შესაბამისი კომპეტენცია პროგრამის ხელმძღვანელსაც აქვს და სხვა პედაგოგებსაც, ამიტომ ყველა მოდულის განმახორციელებლ პერსონალთან აღნიშნულია და ამას ვარეგულირებთ მათი დროის მიხედვითაც, ვთქვათ შეიძლება ერთ ჯგუფში ერთმა ჩაატაროს ერთი მოდული, მეორე ჯგუფში მეორემ, პროგრამის ხელმძღვანელი არის მოდულის განმახორციელებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესის კოორდინატორთან ერთად მეორე მასწავლებელი, ვინც არის პროგრამაზე ის აკეთებს ვალიდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს: ექსპერტთა დასკვნაში იყო ჩანაწერი, რომ პროგრამის დამტკიცებამდე ხარისხის მენეჯერის დასკვნა არის აუცილებელი წინაპირობა. ხომ არ უნახავს ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული დასკვნა და რა კრიტერიუმებით ან მექანიზმებით აფასებს ხარისხის მენეჯერი წარმოდგენილ პროგრამას.

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტაცია გამოითხოვა. ადგილზე იქნა წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია პროგრამის ინიცირებიდან მის შემდგომ დამტკიცებამდე, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მენეჯერი ბრძანებით ქმნის სამუშაო ჯგუფს. ეს ადამიანი ხელმძღვანელობს აღნიშნულ ჯგუფს, სადაც შედიან დარგის სპეციალისტები, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი და სხვა. აღნიშნული პირები უზრუნველყოფენ, რომ სრულად შეიკრას პროგრამა. პროგრამის შემუშავების შემდეგ აღნიშნული პაკეტი გადაეცემა ხარისხის მენეჯერს, რომელიც ახდენს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და ამის შემდეგ ხდება პროგრამის დამტკიცება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62 - ე მუხლების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ახალ ტალღა" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი1).**

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" "ბაღის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 12 მარტის ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ქეთევან გელაშვილი - წევრი, დაევალა ქ. ქობულეთში, სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბაღის დიზაინი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“, მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2025 წლის 27 მარტს განახორციელა ვიზიტი, ქ. ქობულეთში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბაღის დიზაინი“.

სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის “ბაღის დიზაინი“ განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A, B, C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა - A და B მოწყობილია და აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 15 კომპიუტერით, სახატავი მოლბერტებით, ტუმბოებით და ხატვისთვის საჭირო სხვა ინვენტარით, ასევე, ხაზვისთვის საჭირო ინვენტარი და მასალები. წინასაპროექტო სამუშაოების მოდულისთვის განკუთვნილი ასაზომი ხელსაწყოები, ფოტოკამერა, GPS ნავიგატორი. დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს ასევე აგრარული მიმართულების მოდულებისთვის საჭირო ინვენტარი: ბარი, თოხი, ფოცხი, სეკატორი, სარწყავი საშუალებები. რაც შეეხება C სასწავლო გარემოს დეკორატიული მცენარეების, აგროკულტურების მოდულის სწავლებისთვის კოლეჯს გამიზნული აქვს კოლეჯის შენობის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენება. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში, ჩატვირთულია შესაბამისი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები (ArchiCAD, Photoshop, Lumion), კედლებზე გამოკრულია მაღალი ხარისხის თვალსაჩინოებები. დაწესებულების ბუღალტერმა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტებად წარმოადგინა შესყიდვის შესახებ დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც ასახულია პროგრამისთვის საჭირო რესურსი. პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის სკოლის მიერ გამოყოფილი ფართი არის ნათელი, საჭირო კლიმატით უზრუნველყოფილი, ფუნქციური და შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ პირობებთან. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 23 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 3 - პროფესიულ მოდულებს. ამ ეტაპზე, მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების

გაწევის შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბაღის დიზაინი“ სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ განხორციელდება იმიტაციურ სამუშაო გარემოში, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში კოლეჯი არ იყენებს პარტნიორ ორგანიზაციას და სრულად საკუთარი რესურსით წარმართავს სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა მას ინფორმაცია სტუდენტების მინიმალურ რაოდენობაზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს მაჩვენებელი 12 სტუდენტს შეადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას რაიმე დაგეგმილი ღონისძიება კურსდამთავრებულთა გამოკითხვის გაფართოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ დაწესებულება რეკომენდაციას დაეთანხმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული უნარების სააგენტო ყოველწლიურად ატარებს კურსდამთავრებულთა კვლევას. დაწესებულებას საერთო ჯამში ჰყავს 800-900 კურსდამთავრებული, რომლებსაც კოლეჯის მხრიდან უკავშირდება შესაბამისი სამსახური, მათგან დაახლოებით 300 კურსდამთავრებული ავსებს კითხვარს. დაწესებულებამ ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ თვითონ აღარ ჩაეტარებინა დამატებითი შიდა გამოკითხვა, რადგან უნარების სააგენტოს კითხვარი მოიცავს დასაქმების მაჩვენებელსა და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულება თავად უკავშირდება კურსდამთავრებულებს, ხშირად აწყდება წინააღმდეგობას კურსდამთავრებულთა მხრიდან, რადგან ორჯერ ერთიდაიგივე კითხვებზე პასუხის მიღება პრობლემურია. ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბოლო მონაცემებით, რაც შეეხებოდა მცირე ჯგუფს (8 კურსდამთავრებული), დასაქმებულთა რაოდენობა იყო 7. აღნიშნული მიუთითებს, რომ დასაქმების მაჩვენებელი დინამიკურია, კადრების ცვალებადობისა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, რაც ართულებს მონაცემთა ინტერპრეტაციას. დაწესებულებამ დააზუსტა, რომ მათ გააანალიზეს ყველა არსებული რესურსი და ბაზრის მოთხოვნები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, თუმცა მათთვის, ამ ეტაპზე, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა უფრო მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" "ბაღის დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62 - ე მუხლების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ახალ ტალღა" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „"ბაღის დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 12 მარტის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა ვიზიტი სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში", მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის No154. მიმდინარე წლის 27 მარტს,

"ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება დაწესებულების საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2025 წლის 31 იანვრის #MES 3 25 0000087312 თანხმობის წერილი, "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან. დათვალიერდა მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“.

პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულებითგათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს A სასწავლო გარემო კოლეჯის მიერ შერჩეულია აუდიტორია №304, აუდიტორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს შესაბამისად 15ს. აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის. B გარემო: N303 – სივრცე მოიცავს 15 სტუდენტის და 1 მასწავლებლის სამუშაო ადგილს, იგივე რაოდენობის, სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერით, პროექტორით. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან: ამასთან, ხელშეკრულებით დადგენილი კვოტების მიხედვით, კოლეჯს შეუძლია მიავლინოს 45 სტუდენტი. C1 სასწავლო გარემო - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია, აუდიტორია №303 ლაბორატორია აღჭურვილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობით და აღემატება ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და

ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის მოთხოვნილ სარეკომენდაციო რესურსის ნუსხას ქიმიური და ბიოლოგიური კომპონენტის ფარგლებში. ლაბორატორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 15-ს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრის, ნათია ბუთხუზის მიერ დასმული შეკითხვა შეეხებოდა ხელშეკრულების ვადებსა და სტუდენტებისთვის შესაძლო რისკებს, კერძოდ, ის დაინტერესდა, რომ რადგანაც არ არის ადმინისტრაციული სერვისების პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებული ავტორიზაციის სრული ვადით, არსებობდა თუ არა რისკი, რომ 2028 წლისთვის, როდესაც ხელშეკრულება ამოიწურებოდა, სტუდენტებს შეექმნებოდათ პრობლემა სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ გარემოებას თავადაც მიაქცია ყურადღება და გადაამოწმა ხელშეკრულებისა და ავტორიზაციის ვადების თანხვედრა. მისი თქმით, დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2022 წელს და შესაბამისად, მოქმედი ავტორიზაცია სრულდება 2028 წელს. ხელშეკრულებაც სწორედ ამავე ვადაში ჯდება, რაც ნიშნავს, რომ ავტორიზაციის ამოწურვის მომენტისთვის დაწესებულებას ისედაც მოუწევს რეავტორიზაციის პროცესის გავლა. შესაბამისად, როგორც პროგრამის ადმინისტრაციული კომპონენტი, ისე საგანმანათლებლო სტანდარტის ნაწილი ხელახლა შეფასდება, შესაბამისად ამ მხრივ რეალურად საფრთხე სტუდენტებისთვის არ იკვეთება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "ახალ ტალღა" "ადმინისტრაციული სერვისები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62 - ე მუხლების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ახალ ტალღა" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ადმინისტრაციული სერვისები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯ ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის "Front-end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 27/02/2025 წლის ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში" "Front-end დეველოპმენტის", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების

წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება. ვიზიტი განახორციელდა 2025 წლის 21 მარტს.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან . დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“.
Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3. პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის გამოყოფილია სულ 13 სასწავლო აუდიტორია. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის და მასწავლებლისათვის სამუშაო მაგიდით, სკამით, ასევე აუდიტორიაში განთავსებულია დემონსტრირების საშუალება - მონიტორი, პრინტერი და პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით. წინამდებარე აუდიტორიების ერთ ცვლაში დატვირთვის ფარგლებში ერთდროულად შესაძლებელია 214 პროფესიული სტუდენტის განთავსება, აუდიტორიების ორ ცვლაში გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული რაოდენობა ორმაგდება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 224 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, მათ შორის 140 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულ პროგრამაზე, ხოლო 84 ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამით „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 დარგი, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები: ინტეგრირებული და არაინტეგრირებული , ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. სასწავლო გეგმებში

მოდულები ისეა განაწილებული , რომ სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ არის 40 საათზე მაღალი, სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამით გათვალისწინებული მოდულების „ლოგიკური“ დაშვების წინაპირობები. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, რომელიც შეეხებოდა პროგრამის დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დღეს. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ ცვლილებები განხორციელდა ვიზიტის დღეს და ისინი ფორმალურად დამტკიცდა 2025 წლის 21 მარტის დირექტორის ბრძანებით. ცვლილებები, თავმჯდომარის განმარტებით, ძირითადად ეხებოდა ტექსტების დაზუსტებასა და დაწესებულების მიდგომებთან შესაბამისობაში მოყვანას. კითხვაში მკაფიოდ გამოიკვეთა ინტერესი იმის გარკვევის მიზნით, იყო თუ არა ეს ცვლილებები მხოლოდ ტექნიკური და სტილისტური ხასიათის, თუ კი შეეხო შინაარსობრივ კომპონენტებსაც, როგორიცაა მოდულის მიზანი, შინაარსი, კრედიტები ან შეფასების სისტემა. ამასთან, დაისვა კითხვა, რამდენად შეესაბამებოდა ეს ცვლილებები ავტორიზაციის პროცესის ძირითად პრინციპს, რომლის თანახმადაც შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ვიზიტამდე წარდგენილ ფიქსირებულ დოკუმენტაციას და არა ვიზიტის დღეს ან მის შემდგომ წარმოდგენილ ვერსიებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ვიზიტის დღეს, შეეხება მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც უნარების სააგენტოს მიერ დამტკიცებულ მოდულებში წარმოდგენილია სარეკომენდაციო ხასიათით. კერძოდ, საუბარია ისეთ ჩანაწერებზე, როგორებიცაა სარეკომენდაციო თემატიკა, სწავლის შედეგების ფორმულირება, შეფასების მიდგომები და სასწავლო რესურსები. აღნიშნული ელემენტები არ წარმოადგენენ შინაარსობრივად სავალდებულო კომპონენტებს და, შესაბამისად, დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა, დაეზუსტებინა ისინი ტექნიკური თვალსაზრისით. ექსპერტის განმარტებით, ცვლილებები არ შეხებია მოდულის ძირითადი შინაარსობრივ კომპონენტებს, მათ შორის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და შეფასების სისტემას. შესაბამისად, ცვლილებები არ ატარებდა ისეთ ხასიათს, რომელიც საჭიროებს პროგრამის ხელახლა შესწავლას ან შეფასების ობიექტის გადახედვას ვიზიტის შემდგომ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ "Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 51-ე და 62 - ე მუხლების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 4).**

მეხუთე საკითხი: შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში "კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა შარაბიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (23.03.2025წ.) საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების განაცხადის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული

სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 1 აპრილს განახორციელა ვიზიტი შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში (მის: ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24, ნინოშვილის ქ. N 10). ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები, იქ განთავსებული მატერიალური რესურსებით და აღჭურვილობით.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.2.1.1 პროგრამით “კულინარიის ხელოვნება” გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების (აკადემიის სივრცე და შპს „თხმელის ციხის“ იჯარით აღებული ფართი) მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (300 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდირებულია დაწესებულებამ გაზარდოს პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილების რაოდენობა აკადემიის შენობაში განთავსებულ C გარემოში, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დანართი#5-ით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობის და ინვენტარის შესაბამისად.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.
ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, თანდართული დოკუმენტებით და მიიღო გადაწყვეტილება არ გაიზიაროს არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული მტკიცებულებები, შემდეგი მიზეზების გამო:
1. დანართი 1-ით წარმოდგენილი „შეთანხმება შპს თხმელის ციხესთან, ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ“, დათარიღებულია 01.04.2025წ., თუმცა, შედგენილია ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, ვინაიდან განაცხადთან ერთად წარმოდგენილი იყო თავდაპირველი შეთანხმება, რომლითაც იხელმძღვანელა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, ავტორიზაციის ვიზიტის დროს. კვოტის გაზრდის მოთხოვნასთან ერთად არც განაცხადით და არც ადგილზე დახვედრებით დაწესებულებას სხვა დოკუმენტი არ წარმოუდგენია. ამრიგად, დანართი 1-ში მოცემული შეთანხმების ახალი პირობები ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე არ შემოწმებულა და შესაბამისად, ექსპერტები მხოლოდ წარმოდგენილი შეთანხმების დოკუმენტით (ადგილზე გადამოწმების გარეშე) ვერ იხელმძღვანელებენ;
2. დანართი 2-ით წარმოდგენილი „ვანის კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა“ ასევე შეუძლებელია განვიხილოთ დაწესებულების მიერ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნით გაკეთებული განაცხადის ფარგლებში წარმოების ნაწილად, ვინაიდან ვანის კომპლექსი განაცხადში არ ფიქსირდება საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების მისამართად.
შესაბამისად, ვანის კომპლექსის დასრულების შემდეგ აღნიშნულ მისამართზე დაწესებულებას შეუძლია გააკეთოს ახალი განაცხადი ან ფართის ცვლილების მოთხოვნით, ან ახალ მისამართზე ავტორიზაციის მოპოვებით;
3. დანართი 3-ით წარმოდგენილი „სამზარეულოს აღჭურვილობა - ინვენტარი“ აღნიშნული ფორმით დაწესებულებას არც განაცხადთან ერთად არც ადგილზე არ წარმოუდგენია. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მატერიალური რესურსის შესყიდვის და ჩუქების დოკუმენტები, რომელშიც დანართში მწვანედ მონიშნული ინვენტარი არ ფიქსირდებოდა.

თუმცა, თუნდაც მწვანედ მონიშნული ინვენტარის გათვალისწინებითაც აღჭურვილობის სია სრულყოფილი მაინც არ იქნება.
4. დანართი 4-ით წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებებში მითითებული აღჭურვილობის ჩამონათვალიც ვიზიტის დასრულების შემდგომ არის შეძენილი (ზედნადების ამობეჭდვის დრო 01.04.2025წ. 22სთ12წთ) შესაბამისად, აღნიშნული აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია ვერ მოხვდებოდა დასკვნაში, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს არ უნახავს ისინი არც მატერიალური სახით და არც მათი შესყიდვის დოკუმენტები შეუსწავლია.
5. დანართი 5-ით წარმოდგენილი სამზარეულოს სურათებიც ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ არის გადაღებული, სადაც ჩანს დამატებული მაგიდა და კედლებიდან მოხსნილი თაროების კვალი.

რაც შეეხება არგუმენტირებულ პოზიციაში გამოთქმულ მოსაზრებას აკადემიის C გარემოში სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშრებით - ექსპერტთა ჯგუფმა აღწერა მოდულის განმახორციელებლის და პროფესიული სტუდენტების მონათხრობი ინტერვიუირების დროს, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი მეცადინეობის დროს. ვიზიტის დღეს ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს, რადგან C გარემოში მეცადინეობები ადრიანად დასრულდა მასტერ კლასის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის გამო. ექსპერტთა მოსაზრება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მხოლოდ 60 სტუდენტით გაზრდის შესახებ დაეფუძნა არა მხოლოდ განმახორციელებელი პერსონალის და ინვენტარი - აღჭურვილობის რაოდენობას, არამედ გაითვალისწინა ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო მოთხოვნა C გარემოს მოწყობის და ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფართის (4კვ.მ) შესახებ. სამზარეულოს ფართი შეადგენს 37კვ.მ -ს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ C გარემოში მოსახვედრად პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა გაიარონ კაფეტერია/ბიბლიოთეკის სივრცე, რომელიც საერთო მოხმარებისაა ყველა სტუდენტისთვის და ასევე აუდ#4-ში მოსახვედრად იგივე სივრცის გავლაა საჭირო. შესაბამისად, კაფეტერია/ბიბლიოთეკის სივრცე ვერ ჩაითვლება კულინარიის C გარემოს განუყოფელ ნაწილად. სწორედ ამიტომ, განისაზღვრა ექსპერტთა მიერ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა მხოლოდ 60 პროფესიული სტუდენტით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“.
ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა რა C გარემოს (აკადემიის სივრცეები და შპს „თხმელის ციხის“ ფართი) აღჭურვილობა და გამტარუნარიანობა და დაადგინა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემოები (აკადემიის სივრცეები და შპს „თხმელის ციხის“ ფართი) საშუალებას იძლევა ზღვრული ოდენობით გათვალისწინებულ 100 პროფესიულ სტუდენტს დაემატოს 60 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ დამატებითი აღჭურვილობის შეძენის და აკადემიის სამზარეულო ფართში ოპტიმალურად განთავსების შემთხვევაში. რაც ნიშნავს, რომ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტის 300 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდა შეუძლებელია, ხოლო დამატებითი აღჭურვილობის შეძენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს 60 - ით და განისაზღვროს 160 პროფესიული სტუდენტით.

ექსპერტის განცხადებით, აკადემიის პროფესიულ პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ ამჟამად სწავლობს 100 პროფესიული სტუდენტი, რომელთა სასწავლო პროცესი ხორციელდება: ორ A გარემოში (#7 და #10 აუდიტორიები), რომლებიც თეორიული მოდულების განსახორციელებლად სათანადო ინვენტარითაა (მაგიდა სკამი, მასწავლებლის კომპიუტერი, პროექტორი) აღჭურვილი და 1 B გარემოში, რომელიც ინფორმაციული წიგნიერების მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. აკადემიას პრაქტიკული კომპონენტის

განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტ საირმესთან. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება, შვიდწლიანი მოქმედების ვადით, გაფორმებული აქვს შპს „თხმელის ციხესთან“ (ხელშეკრულება #18,18.07.2024წ.) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებით. ხელშეკრულების მიზანია: მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი აკადემიის ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე; პრაქტიკის ობიექტზე პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შპს „თხმელის ციხის“ სივრცეში, აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება იგეგმებოდა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. თუმცა, ვიზიტის დროს დაწესებულების ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ავტორიზაციის შემდგომ დაწესებულებამ შეიძინა პროფესიული მოდულების გასავლელად საჭირო აღჭურვილობა, მოაწყო შესაბამისი გარემო და სასწავლო პროცესიც მხოლოდ ნაწილობრივ (მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“) განახორციელა შპს „თხმელის ციხეში“.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აკადემიის ფართში მოწყობილი C გარემო, გაეცნო მეცადინეობის განრიგს და მოისმინა დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს 100 პროფესიული სტუდენტისთვის (25 პროფესიულ სტუდენტიანი 4 ჯგუფი) პრაქტიკული მოდულების არსებულ C სივრცეში ჩატარება. კერძოდ, C სივრცეში თითო 25 კაციანი ჯგუფი ატარებს 18 საათს (სამი დღის მანძილზე, დღეში 6 საათიანი დატვირთვით) შესაბამისად კვირის სამ დღეს 6-6 საათიანი დატვირთვით ორ ცვლაში სწავლობს ორი 2 პროფესიული ჯგუფი (ჯგ#1 და ჯგ#2) კვირის დარჩენილ სამ დღეს ასევე 6-6 საათიანი დატვირთვით ორ ცვლაში კიდევ 2 პროფესიული ჯგუფი (ჯგ.#3 და ჯგ.#4) სწავლობს. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოდულის საკონტაქტო კვირეული 20 საათიდან დარჩენილი 2 საათი ტარდება თეორიული სწავლების A სივრცეში. ამავე დროს არსებულ C სივრცეში სტუდენტები შედიან მონაცვლეობით 12 და 13 კაციან ჯგუფებად და ერთიდაიმავე სასწავლო დროში ნაწილი C სივრცეშია, ხოლო ნაწილი სივრცის გარეთ, კაფეტერიის ფართში ელოდება დავალების შესრულებას. ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება აღნიშნული გრაფიკით სასწავლო პროცესის წარმართვას, იმიტომ რომ საკონტაქტოდ განსაზღვრული 6 საათიდან თითოეული პროფესიული სტუდენტი სამზარეულოში ატარებს მისთვის განკუთვნილი დროის ნახევარს და ამავე დროს C სივრცეში არათუ 25, არამედ ამ ეტაპზე 12-13 სტუდენტისთვისაც აღჭურვილობა მხოლოდ ნაწილობრივაა შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის და აღჭურვილობის ჩამონათვალთან. ასე მაგალითად, C გარემოში არასაკმარისი რაოდენობითაა სტუდენტის სამუშაო მაგიდა, ინდუქციური ქურა, სამზარეულოს ნიჟარა და სხვა სასწავლო სამზარეულოს ინდივიდუალური მოხმარების ინვენტარი, კერძოდ, სხვადასხვა დანიშნულების დანები, სხვადასხვა ზომის ქვაბები და ტაფები), საერთოდ არ არის „სალამანდრა“, ბლინის მოსამზადებელი და ცომის გასაბრტყელებელი აპარატები, პლანეტარული მიქსერი, დანადგერი ფრიტურში შეწვის, მაგიდა ცომის საგლინავი, სლაისერი, თერმომეტრი, გრილი (ელექტრო ან გაზის), პიცის საჭრელი დანა, დაფა ხორცის დასაჩეხი, ნაჯახი, კეცები და ქოთნები, კომბაინი, პინცეტი თევზის ფხის მოსაცილებლად, როდინი, ციტრუსის საწური, შინუაზი და სხვა. ამიტომ შეუძლებელი იქნება მხოლოდ არსებული აღჭურვილობით პროფესიული მოდულების - კერძების მომზადების ტექნოლოგია; ქართული სამზარეულოს საუზმეული; ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება; საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება; კულინარიული მინი ნაწარმის მომზადება; პრაქტიკული პროექტი სრულყოფილად განხორციელება. იმისათვის რომ,

ამ გარემოში შესაძლო გახდეს პრაქტიკული მოდულების სრულად განხორციელება (თითოეულ მოდულში მითითებული კერძების მომზადება), საჭიროა მატერიალური აღჭურვილობა შეივსოს პროგრამის აღჭურვილობის დანართში მითითებული შესაბამისი მახასიათებლების ინვენტარით და მათი ოპტიმალურად განთავსების შემთხვევაში აკადემიაში არსებულ ფართში, რომელიც გამოყოფილია C გარემოსთვის, ერთდროულად მაქსიმუმ 15 სტუდენტი შეძლებს სხვადასხვა პრაქტიკული სახის დავალების შესრულებას სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საათებში. სასწავლი გეგმაში მითითებული კვირეული დატვირთვის (20 საათი) გათვალისწინებით C გარემო ორცვლიანი სწავლებით 4 ჯგუფზე შეძლებს 60 პროფესიული სტუდენტის გატარებას. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა რა ორივე C გარემოს (აკადემიის სივრცეები და შპს „თხმელის ციხის“ ფართი) აღჭურვილობა და გამტარუნარიანობა და დაადგინა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემოები (აკადემიის სივრცეები და შპს „თხმელის ციხის“ ფართი) საშუალებას იძლევა ზღვრული ოდენობით გათვალისწინებულ 100 პროფესიულ სტუდენტს, რომელის ავტორიზაციის დროს მიენიჭა დაწესებულებას, დაემატოს 60 პროფესიული სტუდენტი, მხოლოდ დამატებითი აღჭურვილობის შეძენის და სამზარეულო ფართში ოპტიმალურად განთავსების შემთხვევაში. რაც ნიშნავს, რომ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტის 300 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდა შეუძლებელია, ხოლო დამატებითი აღჭურვილობის შეძენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს 60 - ით და განისაზღვროს 160 პროფესიული სტუდენტით. ხარვეზი - პროგრამით “კულინარიის ხელოვნება” გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების (აკადემიის სივრცე და შპს „თხმელის ციხის“ იჯარით აღებული ფართი) მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (300 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გაზარდოს პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილების რაოდენობა აკადემიის შენობაში განთავსებულ C გარემოში, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დანართი#5-ით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობის და ინვენტარის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “კულინარიის ხელოვნება“ საავტორიზაციო განაცხადით სულ 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი ჰყავდა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ავტორიზაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრება - სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული. ამ მოსაზრების და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის გათვალისწინებით დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა 5 პროფესიული მოდულების და 3 სხვა მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ არსებულ ადამიანურ რესურსზე დამატებით 8 პროფესიული მასწავლებელი შეძლებს სასწავლო პროცესის განხორციელებას დაშვებული დატვირთვის (40საათი კვირაში) ფარგლებში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ახლად დამატებული 8 პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმეები, გაესაუბრა პროფესიულ მასწავლებლებს როგორც ადგილზე ინტერვიუირებით, ასევე, რამოდენიმე მასწავლებელს დისტანციურად ჩართვით. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის “კულინარიის ხელოვნება“

განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული სამუშაო გამოცდილებით. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნების“ განხორციელებისთვის შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: საპროგნოზო შემოსავალს, ხარჯების ძირითად ნაწილს. საპროგნოზო ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება, საკანცელარიო/საოფისე ნივთები, სახელმძღვანელო, პროფესიული განვითარება და სტუდენტური ღონისძიებები, კომუნალური გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხარჯი, პერსონალის, მათ შორის პროფ. მასწავლებლების განვითარებაზე მიმართული ხარჯი, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შეფასების პროცესში, რომ განისაზღვრა სტუდენტური კვოტა, კონკრეტულად რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელეს. თავად დაწესებულებამ განსაზღვრა მეთოდოლოგია, თუ შეფასების ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში. ასევე, საინტერესო იყო, თუ რა პრინციპით განისაზღვრა, რომ აკადემიას მხოლოდ 60 სტუდენტის დამატება შეეძლო — ეს ეფუძნებოდა დაწესებულების წარმოდგენილ ინფორმაციას, მათ მიერ დადგენილ შიდა მიდგომას, თუ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ გარემოებებს.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულებამ კვოტის გაზრდის შესახებ წარდგენილ განაცხადს თან დაურთო დანართი, რომელშიც ასახული იყო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი – თხმელის ციხე, სადაც სასწავლო პროცესი უნდა განხორციელებულიყო. დოკუმენტაციაში ასევე, აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ აპლიკანტთა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებას სურდა კვოტის გაზრდა. განაცხადს თან ერთვოდა დამატებითი ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციაც, რადგან როგორც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, შესაბამისი გარემო მანამდე დაწესებულებაში არ არსებობდა და პირველადი განაცხადით წარმოდგენილი აღჭურვილობაც სწორედ ამ მიზნით იქნა შეძენილი. ექსპერტის განმარტებით, შეფასების პროცესში არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ წარმოდგენილით და გადამოწმდა შესყიდვის დოკუმენტაცია. ადგილზე განხორციელდა ინვენტარის ვიზუალური დათვალიერება. აღინიშნა, რომ აღჭურვილობის გარკვეული ნაწილი შესაძლოა შემდგომ ეტაპზე იქნას დამატებული და ადგილზე ვიზიტის დროს ის ჯერ არ იყო განთავსებული, თუმცა დოკუმენტაციით მათი არსებობა დასტურდებოდა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ მათი შეფასება ემყარებოდა პრაქტიკული სივრცის, კერძოდ, სამზარეულოს ზონის შესაძლებლობების დეტალურ გაანალიზებას. მითითებული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სივრცის ფუნქციური მოწყობა, მათ შორის სტუდენტების განლაგების სქემის მიხედვით. გათვლების შედეგად დადგინდა, რომ ერთდროულად სამზარეულოში შესვლის შესაძლებლობა მაქსიმუმ 15 სტუდენტს ექნება. ეს გათვლა ემყარება არსებულ სივრცეში აღჭურვილობის რაოდენობას: ორი ონკანი, სადაც მხოლოდ ორი სტუდენტი იმუშავებს, სამი სამუშაო მაგიდა, თითოეულზე ორ-ორი სტუდენტი განთავსდება, რაც ჯამში 6 სტუდენტს შეესაბამება, და ქურა ოთხი „კაფორით“, რომელზეც ერთდროულად 3

სტუდენტზე მეტის მუშაობა შეუძლებელია. ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიანად განხორციელება ერთდროულად 15 სტუდენტზე მეტისთვის წარმოუდგენელია. დამატებით, დარგის ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამზარეულოსა და კაფეტერიას შორის სტუდენტების მონაცვლეობით გადაადგილება სწავლების პროცესს ართულებს, აკლებს პრაქტიკულ სამუშაოსთვის განკუთვნილ დროს და შესაბამისად, უარყოფითად აისახება პროფესიული სწავლების ეფექტურობაზე, კერძო სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საკონტაქტო საათებზე. მისი თქმით, პრაქტიკული სწავლება ეფუძნება უშუალო საქმიანობით სწავლებას და არა თეორიულ ახსნას, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის განკუთვნილი ამოცანები. დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად დაწესებულების მხრიდან გამოხატული განვითარების გეგმებისა და სივრცის გაფართოების გეგმების არსებობისა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნებოდა მხოლოდ იმ რეალურ გარემოსა და ინფრასტრუქტურას, რაც განაცხადით იყო წარმოდგენილი და რაც ფიზიკურად იქნა დათვალიერებული ვიზიტის დროს. შესაბამისად, მათი საბოლოო პოზიცია დაფუძნდა მხოლოდ იმ მასალებს და გარემოებებს, რაც იმ დროისთვის იყო რეალურად ხელმისაწვდომი და არ ასახავდა სამომავლო პერსპექტივებს, რადგან შეფასება გაუმჯობესების გეგმის ან შესაბამისობის გეგმის გარეშე (კოლეჯს არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა), ჯერ კიდევ არგანხორციელებულ პროექტებზე ვერ განხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, შედგა თუ არა ვიზიტის ბოლოს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულებას შორის მოხდებოდა შეჯამება და კონკრეტული მიგნებების გამოვლენა. მაგალითად, მიაწოდეს თუ არა ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულებას ინფორმაცია, რომ მხოლოდ 60 სტუდენტის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. თავმჯდომარე დაინტერესდა, მოხდა თუ არა მსგავსი კომუნიკაცია, მათ კონკრეტულ რაოდენობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით და განიმარტა, თუ არა რა გარემოებებს ეფუძნებოდა.

დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ კომუნიკაცია დაწესებულებასთან. მისი განმარტებით, პირველადი დათვალიერებისას დაწესებულებას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მაქსიმუმ შესაძლებელი იქნებოდა 100 სტუდენტის მიღება. თუმცა, როდესაც შემდგომ ეტაპზე, დარგობრივ ექსპერტთან და სხვა ჯგუფის წევრებთან ერთად ხელახლა გააანალიზეს ვითარება, შეფასება შეიცვალა. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თავდაპირველი მონაცემი, 100 სტუდენტი, ეფუძნებოდა იმ წარმოდგენას, რომ სტუდენტთა რაოდენობა განაწილდებოდა პროგრამის ორ +წლიან მიმდინარეობაზე და შესაბამისად, ორ მიღებაზე. მისი თქმით, მაშინ არც თვითონ და არც დარგობრივ ექსპერტს არ ჰქონდათ იმ დროისთვის ინფორმაცია ან ვარაუდი, რომ ეს 100 სტუდენტი ერთდროულად, ერთ მიღებაზე უნდა მიეღო დაწესებულებას. როგორც მან განმარტა, მსგავს შემთხვევებში ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პროგრამის ხანგრძლივობა და რამდენჯერ გამოაცხადებს დაწესებულება მიღებას.

ექსპერტის განცხადებით, კონკრეტულ შემთხვევაში, კულინარიის ხელოვნების პროგრამის ორწლიანი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს წლიურ განაწილებას. სწორედ ამით იყო განპირობებული თავდაპირველი შეთავაზება, 100 სტუდენტი, რაც გულისხმობდა ორ მიღებაზე 50-50 სტუდენტის განაწილებას. თუმცა, შეფასების პროცესში გაირკვა, რომ დაწესებულების სტრატეგია იყო ერთდროული მიღება. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა თავდაპირველ მიდგომას და გადაწყვიტა, რომ 60 სტუდენტის მიღება, ერთდროულად, იყო მაქსიმუმი იმ ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც ვიზიტის დროს შეფასებით დადასტურდა. ექსპერტმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას მიღებული

ჰქონდა ადრე ნებართვა 100 სტუდენტზე, ჯგუფმა განიხილა მიმდინარე მდგომარეობა და მათი შეფასება დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ წლევანდელი მიღება ერთ ეტაპად უნდა განხორციელდეს. სწორედ ამიტომ შეიზღუდა რაოდენობა 60 სტუდენტამდე, რაც ექსპერტთა შეფასებით, მაქსიმუმია იმ სივრცისთვის, რომელიც ამჟამად არსებული ინფრასტრუქტურით და განლაგებით არის ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, შეფასებისას რატომ არ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების სამომავლო გეგმები, მაშინ როდესაც თავად ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ აკადემიას გააჩნია საკმაოდ კარგი განვითარების შესაძლებლობები და შემუშავებული აქვს სამომავლო სტრატეგიაც. თავმჯდომარემ დააზუსტა, უკავშირდებოდა თუ არა აღნიშნული არასრულყოფილი დოკუმენტაციის და მტკიცებულებების წარმოდგენას. .

ექსპერტმა განმარტა, რომ საკუთარი ექსპერტული გამოცდილების ფარგლებში მისთვის სავალდებულოა შეფასების პროცესში განიხილოს მხოლოდ ის დოკუმენტაცია და არგუმენტები, რომლებიც წინასწარ, ოფიციალურად იყო წარმოდგენილი განაცხადის სახით. მისი განმარტებით, ადგილზე ვიზიტის დროს მათ შეძლეს მხოლოდ უკვე წარდგენილი მასალის გადამოწმება და ვიზუალური დადასტურება. რაც შეეხება ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ექსპერტმა დაადასტურა, რომ მას გაეცნო, როგორც ეს პროცედურით იყო განსაზღვრული, და მიაწოდა შესაბამისი მოსაზრებებიც. თუმცა, აღნიშნული სივრცე, ვანის ტერიტორია, ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებული არ ყოფილა და შესაბამისად, შეფასებაშიც არ იქნა ჩართული, ვინაიდან ის შეფასების მოცულობის მიღმა დარჩა, რადგანაც განაცხადში არ იყო მითითებული.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა დაზუსტების მიზნით იკითხა, A გარემო ანუ მე-4 აუდიტორიაში მოსახვედრად სტუდენტებს უწევთ სხვადასხვა სივრცის გავლა და რამდენად არის შესაძლებელი სასწავლო პროცესისთვის ამ სივრცის გამოყენება. ასევე, დააზუსტა სტუდენტებთან გასაუბრებისას თუ დაისვა კითხვა აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით და შეუშლის თუ არა ეს გარემოება ხელს სასწავლო პროცესს განხორციელებას.

ექსპერტმა განმარტა, კაფეტერიას რეკრეაციული ზონიდან ორი შესასვლელი აქვს: ერთი მათგანი პირდაპირ სამზარეულოში შედის, ხოლო მეორე – აუდიტორია №4-ში. მისი თქმით, სტუდენტები ჯერ შედიან რეკრეაციულ სივრცეში, საიდანაც გადადიან მე-4 აუდიტორიასა და პარალელურად, C გარემოში, სადაც განთავსებულია სამზარეულო. კაფეტერია და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეშია განლაგებული და ეს სივრცე არ არის მხოლოდ კულინარიის პროგრამის სტუდენტებისთვის, რადგან მასში განთავსებულია როგორც წიგნები, ისე კომპიუტერები, რომელიც ყველა პროგრამის სტუდენტისთვის საერთოა. შესაბამისად, კაფეტერიის სივრცე ვერ ჩაითვლება მხოლოდ სამზარეულოსთან დაკავშირებულ სივრცედ. ექსპერტმა ისაუბრა სამზარეულოს პირობებზეც და აღნიშნა, რომ სტუდენტი სამზარეულოში შედის, იცვლის ფორმას, იბანს ხელს და აქვეა განთავსებული ონკანი სპეციალურად ამისთვის. სტუდენტი უნდა იმყოფებოდეს სამზარეულოში მთელი პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში და არა მონაცვლეობით შემოდიოდეს და გამოდიოდეს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა მიმართა ექსპერტს კითხვით, არის თუ არა დღეს სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი საბიბლიოთეკო რესურსები და თუ შესაძლებელია მათი გამოყენება. ასევე, სურს გაიგოს, ეს ბიბლიოთეკის სივრცე იყო იმის განმაპირობებელი, რომ ექსპერტებმა კვოტა არ გაზარდეს ისე, როგორც დაწესებულებას ითხოვდა.

ექსპერტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ბიბლიოთეკა განთავსებულია კაფეტერიის სივრცეში, სადაც სტელაჟები და მაგიდები გადანაწილებულია. კაფეტერიის სივრცე ყველასათვის საერთოა. კაფეტერიიდან არის ორი შესასვლელი: ერთი ბიბლიოთეკის ყოფილი სივრცისკენ და მეორე - მე-4 აუდიტორიაში. ყოფილი ბიბლიოთეკა წარმოადგენს C გარემოს კულინარიის პროგრამისთვის, ხოლო აუდიტორია შენარჩუნებულია აუდიტორიის ფუნქციით. შესაბამისად, კაფეტერია და ბიბლიოთეკა ერთიან სივრცედ არის წარმოდგენილი, რომელიც გამავალია სამზარეულოს, C გარემოსა და მე-4 აუდიტორიის მისასვლელად.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, მიმართა ექსპერტს კითხვით, ყოველივეს გათვალისწინებით, რა გარემოებას დაეყრდნო ჯგუფი, რომ მისცა 60 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ, რადგან C გარემო საკუთარ სივრცეში მოაწყო, არ გამოიყენეს უკვე არსებული ფართი სრულად, მხოლოდ ნაწილობრივ ისარგებლეს თხმელის ციხის სივრცით, სადაც 100 პროფესიული სტუდენტის განთავსება იყო შესაძლებელი. აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა ერთი წლის წინ მოიპოვა. დაწესებულებამ შიგნით ახალი C გარემო მოაწყო, რის გამოც მოითხოვა დამატებით გაზრდილი კვოტა (დამატებით 200 სტუდენტი). ექსპერტის თქმით, შეფასდა, რომ ამ გაზრდილ სივრცეში დამატებით მხოლოდ 60 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტებთან განხილვის შედეგით, რამდენად კმაყოფილები იყვნენ ისინი, თუ აღინიშნეს სტუდენტებმა, რომ უჭირთ ვიწრო სივრცეში მუშაობა.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან იმით, რომ სწავლობენ პროგრამაზე, თუმცა პროგრამის მიზნად არ მიიჩნევენ პროფესიის დაუფლებას. ინტერვიუებზე მყოფი 15-17 სტუდენტიდან არც ერთმა არ დააფიქსირა, რომ ეს პროგრამა მათი მომავალი პროფესიის საფუძველია. მათთვის ეს უფრო დამატებითი გამოცდილებაა, რომლის გამოყენებას გეგმავენ მომავალში, ზოგიერთი საჯარო სამსახურშია დასაქმებული, ზოგი საჯარო სკოლის მოსწავლეა, რის გამოც დასწრების პრობლემა ყოველთვის არსებობს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეალურად 25 სტუდენტი არ დადის ერთდროულად, თუმცა ამაზე სერიოზული დასკვნების გამოტანა შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა შემდეგი კითხვით: რა რეალური საჭიროებით არის განპირობებული 200 სტუდენტით კვოტის გაზრდის მოთხოვნა, როგორ აფასებს დაწესებულება ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების და მასალების მზაობას ამგვარი ზრდის წინაშე და როგორ აფასებს რისკებს, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს 200 სტუდენტის ერთდროულად დამატებასთან. ასევე, დაინტერესდა, აქვთ თუ არა შიდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის შენარჩუნებას სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამჟამად ჰყავთ 100 სტუდენტი, მათთვის ადგილზე მოწყობილია სამზარეულო, აღჭურვილობა პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად არის განახლებული. პროგრამის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე ეტაპობრივად ხორციელდება საჭირო აღჭურვილობის შეძენა. დასრულებულია პრაქტიკული მოდული კერძების მომზადების ტექნოლოგია, რომელსაც სჭირდება საკამოდ ბევრი მატერიალური რესურსი. აკადემიაში პრაქტიკა ტარდება კვირაში სამ დღეს ორ ცვლაში, რაც უზრუნველყოფს ჯგუფების ერთმანეთთან შეჯახების გარეშე მუშაობას. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაასახელა, რომ ექსპერტებმა აღიარეს, რომ თხმელის ციხის სივრცე არ გამოიყენეს და აღნიშნა,

რომ 100 სტუდენტი წარმატებით გადის პროგრამას კოლეჯში და სწავლის შედეგები დადასტურებულია. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა, რომ მოწყობილი გარემო და აღჭურვილობა საკმარისია მიმდინარე მოდულების განხორციელებისთვის და ახალი აღჭურვილობის შეძენა ეტაპობრივად ხდება. პრაქტიკული მოდულების დროს არ მიმდინარეობს ლექციები სამზარეულოს სივრცეში, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს კვეთა ჯგუფების. მისი თქმით, ვიზიტის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებით, თხმელის ციხის ხელშეკრულების პირობები შეიცვალა მხოლოდ საათების რაოდენობის გაზრდით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო 200 სტუდენტის გამართვა ორ ცვლაში, რაც ექსპერტებისგან დამატებით შეკითხვებს არ იწვევს. ასევე აღნიშნა, რომ ახალი სივრცე ვანში ნოემბრის ბოლოს მზად იქნება, სადაც განთავსდება 300 კვადრატული სამზარეულო და 6 ოთახიანი სასტუმრო-სარესტორნო კომპლექსი, სადაც შემდგომში სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განაცხადა, რომ პრაქტიკული მოდულებიდან უკვე დასრულებულია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი — კერძების მომზადების ტექნოლოგია, რომლისთვისაც საჭირო მატერიალური რესურსი სრულად არის უზრუნველყოფილი. ამ მოდულში სტუდენტები ორ ცვლაში გადანაწილებულები მუშაობენ: პირველ ცვლაში ორი ჯგუფი (კულინარია და სასტუმრო საქმე), მეორე ცვლაში — დარჩენილი ორი ჯგუფი. ჯგუფები ერთმანეთისგან იზოლირებულები არიან და პრაქტიკის დროს არ იკვეთებიან. რაც შეეხება აკადემიის ბიბლიოთეკისა და რეკრეაციული ზონის მდგომარეობას, დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ იმ ოთახის გამოყენება, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და კაფეტერია, რაც არ სცდება პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილ სივრცეს. პრაქტიკის დროს სამზარეულოში ლექციები არ ტარდება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღჭურვილობა ეტაპობრივად არ უნდა შეისყიდებოდეს, არამედ ყველა მოდულზე შესაბამისი აღჭურვილობა დასაწყისშივე უნდა იყოს. რაც შეეხება პროდუქტებს, მათი შეძენა შეიძლება შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგის მიხედვით, მაგრამ აღჭურვილობა ყველა მოდულისთვის სრულად უნდა არსებობდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციებში, სადაც წერია მაგალითად თერმომეტრის არარსებობაზე, ისინი ასაბუთებენ, რომ აქვთ ინდუქციური ქურა, რომელიც თვითონ ზომავს ტემპერატურას. როცა ექსპერტები საუბრობენ ბლენდერზე სახეხით, დადგინდა, რომ იმავე ნაკრებში აქვთ ნაჯახი და დანების ნაკრებში ყველაფერი, რაც საჭიროა. ამ საკითხზე დაწესებულება ექსპერტების შეფასებებს მიუღებლად მიიჩნევს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, იმყოფებოდა თუ არა ჯგუფი ვანის ტერიტორიის დასათვალიერებლად.

ექსპერტებმა განმარტა, რომ მათ ვანში ვიზიტი არ ჰქონიათ, რადგან ვანი განაცხადში არ იყო ჩაწერილი და შესაბამისად, ვერ წავიდოდნენ შესამოწმებლად. ვანის შესახებ ვიდეო მასალა დაინახეს მხოლოდ დაწესებულების მოთხოვნით.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, იმყოფებოდა თუ არა ექსპერტები და დარგი მასტერკლასზე.

ექსპერტის განცხადებით, მასტერკლასზე დასწრება მათი ვალდებულება არ ყოფილა, რადგან მასტერკლასი პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი აქტივობაა და არა საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე გიგაშვილმა, მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ გააცნო დაწესებულებას ვიზიტის ბოლოს მიგნებები და სავარაუდო სურათი, რომელიც უნდა შეეთავაზებინათ ცენტრს და დაწესებულებას, რადგან დაწესებულებას ჰქონდა განსხვავებული მოლოდინი.

ექსპერტის განცხადებით,დაწესებულებამ 200 პროფესიული სტუდენტის დამატება მოითხოვა, რაც C გარემოს მოწყობას გულისხმობდა იმ სივრცეში, რომელიც მათ წარმოადგინეს. ექსპერტებმა ვერ მიიღეს ის, რომ აღნიშნულ სივრცეში დამატებით 200 სტუდენტის განთავსება შესაძლებელი იყო. 100 სტუდენტზე საუბარი იყო, რომლის განხორციელების უფლება ხელშეკრულებით იყო მათთვის მინიჭებული. შესაბამისად, არ განიხილეს 200 სტუდენტი. ასევე აღნიშნა, რომ დამატებით უნდა შეფასებულიყო დაწესებულების მიერ შექმნილი დამატებითი C სივრცის გამტარუნარიანობა, რასაც ექსპერტებმა შეაფასეს და დაადასტურეს, რომ 200 სტუდენტის მიღება ვერ ხერხდებოდა, თუმცა 100 სტუდენტის დამატება შესაძლებელი იყო, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ დარგის ექსპერტების რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა. დარგის ექსპერტმა მაშინვე აღნიშნა, რომ ინვენტარი არ არის განლაგებული ისე, რომ ფართის მაქსიმალური გამოყენება უზრუნველყოფილი იქნას და სივრცე არ იძლევა საშუალებას, ერთდროულად 25 სტუდენტი შევიდეს სამზარეულოში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ითვალისწინებს კოლეჯის განვითარების ხედვას, შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს კულინარიის მიმართულებით, თუმცა პრიორიტეტი კვლავ საგანმანათლებლო პროცესის ხარისხისა და სტუდენტების პირობების უზრუნველყოფა იქნება. ამიტომ მან საბჭოს წევრებს შესთავაზა კომპრომისული მიდგომა: მიეცეთ აკადემიას საშუალება დამატებით 100 პროფესიული სტუდენტი მიიღოს, თუმცა მონიტორინგი ჩაინიშნოს 2.2 კომპონენტზე, რაც გულისხმობს მატერიალურ რესურსების გადამოწმებას, თუ საბჭოს წევრები ეთანხმებოდნენ.

ზემოაღნიშნულ შეთავაზებას სხდომაზე დამსწრე ყველა საბჭოს წევრი დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს მსოფლიო განათლების აკადემიისთვის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მსოფლიო განათლების აკადემიას (ს/კ:425060827) დანართით განსაზღვრულ „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 200 - ით **(დანართი 5).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონი ტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 აგვისტო.

მეექვსე საკითხი: შპს თენექსში „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2025 წლის 26.03 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა (ცვლილება 2025 წლის 02.04 N369118 ბრძანებით) განახორციელა ვიზიტი შპს "თენექსში" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შესრულების შემოწმების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 8 აპრილს მისამართზე - ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38. ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ირმა მეგრელიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: თეა ბარამაშვილი (დარგის ექსპერტი) შეისწავლა "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ 21.03.2025 წლის კორესპონდენციით წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებები. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები. დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინი“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3. დაწესებულებამ განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება სწავლება/შეფასების მიმართულებით;

2.2.1.3. მოწესრიგდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები;

2.2.1.4.დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება პროგრამის შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/ვალიდაციის პროცესში;

2.2.1.5. შემუშავდეს სასწავლო რესურსი ქართულ ენაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი “გრაფიკული დიზაინის“ პროგრამისთვის აუდიტორიები განკუთვნილია 300 პროფესიული სტუდენტისათვის. თენექსის ინფრასტრუქტურა მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კომპიუტერებით და საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილია აუდიტორიები - 8 B გარემო (მათ შორის, 4 გარემო საერთოა Front-end დეველოპმენტის პროგრამასთან), 2 A გარემო და ერთი სააქტო დარბაზი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თეორიული მეცადინეობისთვის). დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილია შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით (10 წლის ვადით). სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში, ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად, ერთი ჯგუფი (25 სტუდენტი) იმყოფება აუდიტორიაში, ხოლო მეორე ჯგუფი ჩართულია დისტანციურად. ექსპერტებს გაგვიჩნდა კითხვა პროგრამის განხორციელების ხარისხზე, თუმცა განმახორციელებლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სრულყოფილად, პრაქტიკული მეცადინეობები და უკუკავშირი

სრულად დისტანციურია ელექტრონული პლათფორმების Discord-ის და Google Clasroom-ის საშუალებით. განმახორციელებლების თქმით დისტანციურ რეჟიმში შეფასების პროცესების წარმართვისთვის თენექსის გუნდი იყენებს Google Clasroom-ს პლატფორმას, სადაც შეფასების მტკიცებულებები (ნაშრომები) თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ინახება ინდივიდუალურად. ექსპერტების აზრით აღნიშნული მატერიალური რესურსი საკმარისია 300 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკულ დიზაინს“ ახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დარგობრივი მოდულების თეორიულ და პრაქტიკულ თემატიკას ასწავლიან პრაქტიკოსი, დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის პირები და პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო კვირის დატვირთვა (საკონტაქტო) პროფესიული სტუდენტებისთვის არის 40 საათი, კვირაში 5 დღე, საჭიროების შესაბამისად - შაბათი დღეც. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, როგორია კოლეჯის ხედვა მასწავლებლების გადამზადების საჭიროების და მიზნების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯი რეკომენდაციას თავიდან ბოლომდე ეთანხმება და ტრენინგი უკვე წინა კვირას ჩაუტარდა ყველა განმახორციელებელს და რა თქმა უნდა ყოველთვიურად დაიგეგმება და, საჭიროების შემთხვევაშიც, ჩატარდება აღნიშნული ტრენინგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რა გამოცდილება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის შემუშავებაში და გამოყენების ინსტრუმენტების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის ხელმძღვანელი სრულადაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში, თუმცა ამ მიმართულებითაც დაწესებულება გეგმავს ისევ ტრენინგი ჩაატაროს და კიდევ უფრო მეტად ჩართოს პროგრამის ხელმძღვანელი პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, არსებობს თუ არა შესაბამისი ადამიანური რესურსი და სტრატეგია სასწავლო რესურსების ქართულ ენაზე შემუშავების პროცესის განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებობს, თუმცა დამატებითი რესურსის საჭიროება კოლეჯმა ვერ დაინახა. ლექტორები მუდმივად ჩართულები არიან სასწავლო რესურსის, მასალის თარგმნაში და თვითონვე აწოდებენ სტუდენტებს ნათარგმნ მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს თენექსისთვის „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს თენექსს (ს/კ:405650549) დანართით განსაზღვრულ „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 300-ით **(დანართი 6).**

მეშვიდე საკითხი: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის "მულტიმედია რეპორტიორობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ნატროშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 16 მარტის ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 28 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის №68), (შემდგომში-დაწესებულება), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მულტიმედია რეპორტიორობა“ (შემდგომში - პროგრამა) განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, შეაფასა საგანმანათლებლო მატერიალური რესურსების რელევანტურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის N844 ბრძანების დანართი N13-ით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - რეპორტიორობა და წამყვანობა ჟურნალისტიკაში, საფუძველზე შემუშავებულ პროგრამას და აქტიურად მონაწილეობდა მულტიმედია რეპორტიორობის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გადამუშავებაში. ვიზიტი მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩატარდა. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფმა შეჯერებული პოზიციის საფუძველზე განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.1 - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო ვალიდაციას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი. ვინაიდან პროგრამა ზოგად მოდულებსაც მოიცავს და პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად ცალკეული მოდულების განმახორციელებელი პირია, რეკომენდებულია ვალიდაციის პროცესში დარგის სპეციალისტი/შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირიც ჩაერთოს.

2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ პირად საქმეში არსებული ინფორმაციით. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ჩვენების მიზნით, რეკომენდებულია მათი პირადი საქმეების პერიოდული განახლება, განსაკუთრებით სამუშაო გამოცდილებისა და დარგში მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტების.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მულტიმედია რეპორტიორობა“.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს შესაბამისად აღჭურვილი A, B და C სასწავლო გარემოები. სასწავლო აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამა სრულად ხორციელდება დაწესებულების

ბაზაზე ან გარე სივრცეში პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით. დაწესებულებაში არსებობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას რესურსების გამოყენების და კმაყოფილების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მატერიალური რესურსები (მაგალითად, ფოტო/ვიდეო კამერა) მოითხოვოს, რაც გულისხმობს ტექნიკის დაწესებულებიდან დათქმული ვადით გატანას. აღნიშნული პროცედურა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი ფიზიკურად არსებობს პროგრამის განხორციელების ადგილზე და რესურსები რეალურად გამოიყენება. პროგრამას ჰყავს 35 განმახორციელებელი პირი. პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას და პროგრამის განხორციელების მდგრადობას. უმეტეს შემთხვევაში, ცალკეულ მოდულს ჰყავს 1-ზე მეტი განმახორციელებელი პირი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით. საჭიროების შემთხვევაში, მოდულის დაწყებისას, პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო რესურსების ელექტრონული ვერსიები MS Teams-ის შესაბამის ჯგუფებში იტვირთება. დაწესებულების სამკითხველო დარბაზი საჭირო ინვენტარით არის აღჭურვილი. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ მულტიმედია რეპორტიორობის პროგრამის მოდულები განფასებული არ არის, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი დაწესებულებამ შეადგინა წინამორბედი პროგრამების ,,რეპორტიორი'' და ,,ტელე-რადიო წამყვანის'' საპროგნოზო ბიუჯეტების შესაბამისად. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული დავალებები, რომლის შესასრულებლად დაწესებულება სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობით. დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, თითქმის ყოველწლიურად ახლდება სასწავლო აღჭურვილობა. დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის დიდი ნაწილი დასაქმებულია დარგის წამყვან კომპანიებში. ასევე, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყურადღებას აქცევენ აღნიშნულ საკითხს და ამახვილებენ ყურადღებას სტუდენტებმა აითვისონ დარგში მიმდინარე უახლესი ტენდენციები. დაწესებულება ყოველწლიურად მასპინძლობს საერთაშორისო გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც მასტერკლასებს ატარებენ პროფესიული სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა დასმული კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ახორციელებს ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არ არის დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი და არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი.

ექსპერტის განმარტებით, კოლეჯში განსხვავებული პრაქტიკაა, ზოგად მოდულებს ახორციელებს შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. აღნიშნული პრაქტიკა არსებული რეგულაციის ფორმულირებასთან შესაბამისობაში არ იყო, რის გამოც რეკომენდაცია სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა შეჯერებულ იქნას დადგენილ რეგულაციებთან. ამავდროულად, რეგულაციაც ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ აღნიშნული პროცესი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯში არსებულ პრაქტიკასთან. პრაქტიკაში ყველაფერი სწორად მიმდინარეობს, თუმცა ეს მექანიზმებში ფორმალურად არ აისახებოდა, რის გამოც საჭირო გახდა რეკომენდაციის გაცემა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის "მულტიმედია რეპორტიორობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს (ს/კ: 205355499) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "მულტიმედია რეპორტიორობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7).**

მერვე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "სპექტრი“ „შედუღების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 მარტის №320533 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 2 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ (ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10) „შედუღების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

დაწესებულებამ ავტორიზაციით მოიპოვა „შემდუღებლის“ საშუალო პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება (საბჭოს გადაწყვეტილება 145.30.07.2029 (ცვლილებები 260772,15.03.2022 და 373704.03.04.3025) , ამ ეტაპზე კოლეჯმა გააკეთა განაცხადი ავტორიზებულ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისი მოდულების ინტეგრირების შესახებ.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ინტეგრირებული სასწავლო გეგმაში “ხელით ელექტრორკალური შედუღების” მოდული ისწავლება პირველ კვირაში, მაშინ,

როდესაც სტუდენტებს შესწავლილი არ აქვთ “შედუღების მასალებისა” და “შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების” მოდულები. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია:-მიზანშეწონილია, სასწავლო გეგმაში განხორციელდეს ცვლილება. “ხელით ელექტრორკალური შედუღების” მოდულის შესწავლა მოხდეს “შედუღების მასალებისა” და “შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების” მოდულების შემდგომ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შედუღება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 72 კრედიტის მოცულობით, 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევითი ბლოკის მოდულს. შედუღებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 87 კრედიტის დაგროვება. არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი უნდა დააგროვონ 117 კრედიტი, რომელთაგან კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო 87 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი). „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანების №42/ნ შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. პროგრამის მიზნებისათვის გამოყოფილია (A სასწავლო გარემო) 15 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“. საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 10 ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირები. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 2 პროფესიული მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული (დირექტორის №36 ბრძანება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად ფარავს პროგრამის მოდულებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 14 პროფესიული სტუდენტით. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება,

ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, როგორ არის გათვალისწინებული სწავლების თანმიმდევრობის და უსაფრთხოების პრინციპები, როდესაც პრაქტიკული და პოტენციურად სარისკო მოდული შეიძლება ისწავლებოდეს თეორიული საფუძვლის გარეშე.

ექსპერტის განმარტებით, რეალურად რისკის შემცველი ნამდვილად არის, იმიტომ რომ ხელით ელექტრო რკალური შედუღება არის ძირითადად პრაქტიკული ნაწილი, პროფესიულ სტუდენტს მოუწევს უშუალოდ ხელით შესრულება შედუღების სამუშაოების, შესაბამისად მიზანშეწონილია, რომ მაინ იცოდეს მასალების შესახებ, იცოდეს ასევე, შემდურების მომზადებისთვის მასალების მომზადების საკითხები და შემდგომ უკვე შეისწავლოს პრაქტიკული საკითხები.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რამდენად შეესაბამება თქვენი შეფასება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც სწავლების ლოგიკურ თანმიმდევრობას და სწავლების მიზნების მიღწევას ეხება.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია ლოგიკური თანმიმდევრობიდან გამომდინარე იქნა გაწერილი. სტუდენტს ჯერ უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა შედუღების მასალებისა და მათი მომზადების პროცესის შესახებ, რათა შემდგომ შეძლოს უშუალოდ შედუღების განხორციელება. ეს წარმოადგენს იმ თეორიულ ნაწილს, რომელიც სტუდენტმა უკვე უნდა იცოდეს მანამ, სანამ დაიწყებს იმ მოდულების შესწავლას, რომლებიც მოიცავს ელექტროშემდუღებელი დანადგარების გამოყენებას პრაქტიკაში. აღნიშნული საკითხი განხილული იყო კოლეჯის ხელმძღვანელობასთან, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან და მათი მხრიდან არის იმის მზაობა რომ გაითვალისწინონ რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "სპექტრი“ „შედუღების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "სპექტრი“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 8).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	145
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	224
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	84
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24; ქ. ბაღდათი, ნინოშვილის ქ. N 10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	300
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	მულტიმედია რეპორტიორობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მულტიმედია რეპორტიორობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0321
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. უზნაძის №68
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის № 10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117